



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080175182982119

№ 1020

21 / თებერვალი /
2019 წ.

შპს „გიგანის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“;

ტენდერის ნომერი: SPA180005548 და SPA180006404;

შესყიდვის ობიექტი: 15600000 – დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები; 15400000 – ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები;

მიმწოდებელი: შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205);

წერილობითი შეტყობინებების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 21 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ 2018 წლის 20 დეკემბრის № 778/12-2018 და № 779/12-2018 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 10769 და № 10768), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გიგანის“ (ს/ნ: 432543205) მიერ SPA180005548 და SPA180006404 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2018 წლის 13 ივლისის № 1307/01 და 2018 წლის 16 აგვისტოს № 1608/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „გიგანს“ სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე gigani25@yahoo.com, 2018 წლის 25 დეკემბრის № 4469 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. შპს „გიგანმა“ სააგენტოში 2019 წლის 9 იანვარს წარმოადგინა განმარტება (რეგისტრაციის № 151) 2018 წლის 13 ივლისის № 1307/01 და 2018 წლის 16 აგვისტოს № 1608/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 13 ივლისის № 1307/01 და 2018 წლის 16 აგვისტოს № 1608/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2018 წლის 20 დეკემბრის №4 სხდომის ოქმით ცალმხრივად შეწყვიტა აღნიშნული ხელშეკრულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, მან ვადაგადაცილებით შეასრულა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც გადაიხადა დაკისრებული პირგასამტეხლო. მიმწოდებელი განმარტავს, რომ მიუხედავად საქონლის ვადაგადაცილებით მიწოდებისა, შემსყიდველი ორგანიზაცია იბარებდა მიწოდებულ საქონელს და აღნიშნულთან დაკავშირებით მას პრეტენზია არ გამოუთქვამს. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციას დაკარგული ჰქონდა ინტერესი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართ, მას პირველივე ჯერზე უნდა შეწყვიტა ხელშეკრულება.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2018 წლის 18 ივნისს შპს „სახელმწიფო კვებითა უზრუნველყოფამ“ გამოაცხადა SPA180005548 ელექტრონული ტენდერი დაფუძვლილ მარცვლეული პროდუქტების, სახამებლისა და სახამებლის პროდუქტების (CPV15600000) შესყიდვის მიზნით. სატენდერო კომისიის 2018 წლის 9 ივლისის №3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.2. 2018 წლის 18 ივლისს შპს „სახელმწიფო კვებითა უზრუნველყოფამ“ გამოაცხადა SPA180006404 ელექტრონული ტენდერი ცხოველური ან მცენარეული ზეთებისა და ცხიმების (CPV15400000) შესყიდვის მიზნით. სატენდერო კომისიის 2018 წლის 10 აგვისტოს №3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2018 წლის 13 ივლისს გაფორმდა № 1307/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ეტაპობრივად, მისი გაფორმებიდან 2019 წლის 15 იანვრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულად განისაზღვრა 54 955 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 15 თებერვალი.

4.4. მხარეთა შორის 2018 წლის 16 აგვისტოს გაფორმდა № 1608/01 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ეტაპობრივად, მისი გაფორმებიდან 2019 წლის 15 იანვრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულად განისაზღვრა 172 800 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 15 თებერვალი.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 19 ნოემბრის № 722/11-2018 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შვიდი დღის გადაცილებით შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული № 1307/01 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე წერილის თანახმად, მიმწოდებელმა არაერთხელ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, კერძოდ, იგი შემსყიდველ ორგანიზაციას საქონელს ვადაგადაცილებით აწვდიდა. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ აღნიშნული ფაქტის განმეორების შემთხვევაში მის მიმართ გატარებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთან, მიმწოდებელს ეცნობა 1 400 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 13 დეკემბრის № 752/12-2018 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, მიუხედავად გაფრთხილებისა, რვა დღის გადაცილებით შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული № 1307/01 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხუთი დღით ადრე აცნობა მიმწოდებელს მხარეთა შორის გაფორმებული № 1307/01 ხელშეკრულების შეწყვეტისა და 1 600 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2018 წლის 20 დეკემბრის № 4 სხდომის ოქმით, ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული № 1307/01 ხელშეკრულება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმწოდებელს ეცნობა 2018 წლის 20 დეკემბრის № 775/12-2018 წერილით. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა 2 747,75 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 2 ნოემბრის № 695/11-2018 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა ექვსი დღის გადაცილებით შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული № 1608/01 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე წერილის თანახმად, დარღვეული იყო საქონლის ეტიკეტირების წესები, კერძოდ, ზეთის ეტიკეტზე მითითებული იყო სხვადასხვა რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრი. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა 1 200 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს თაობაზე.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 5 ნოემბრის № 697/11-2018 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შვიდი დღის გადაცილებით შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული № 1608/01 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ აღნიშნულმა ვადაგადაცილებამ შემსყიდველ ორგანიზაციას პრობლემები შეუქმნა. ამასთან, მიმწოდებელს ეცნობა 1 400 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს თაობაზე.

4.10. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 19 ნოემბრის № 723/11-2018 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა ათი დღის გადაცილებით შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული № 1608/01

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე წერილის თანახმად, მიმწოდებელმა არაერთხელ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, კერძოდ, იგი შემსყიდველ ორგანიზაციას საქონელს ვადაგადაცილებით აწვდიდა. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა, რომ მის ნაკისრი ვალდებულებების მის მიერ ვადაგადაცილებით შესრულებას შეიძლება გამოეწვიოს კვების პროცესისა და ცენტრალური საწყობის გამართულად მუშაობის შეფერხება. ამასთან, მიმწოდებელს ეცნობა 2 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს თაობაზე.

4.11. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 22 ნოემბრის № 731/11-2018 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა ორჯერ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადა და შემსყიდველ ორგანიზაციას ცამეტი დღის გადაცილებით მიანოდა საქონელი. ამასთან, მიმწოდებელს ეცნობა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ არაერთი პრობლემა შეუქმნა შემსყიდველ ორგანიზაციას და იმ შემთხვევაში, თუ იგი კვლავ ვადაგადაცილებით შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, ცალმხრივად შეწყდებოდა ხელშეკრულება.

4.12. შემსყიდველი ორგანიზაციის 2018 წლის 13 დეკემბრის № 753/12-2018 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა კვლავ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადა და შემსყიდველ ორგანიზაციას რვა დღის გადაცილებით მიანოდა საქონელი. ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ ხუთი დღით ადრე აცნობა მიმწოდებელს მხარეთა შორის გაფორმებული № 1608/01 ხელშეკრულების შეწყვეტისა და 1 600 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.13. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2018 წლის 20 დეკემბრის №4 სხდომის ოქმის ოქმით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული №1608/01 ხელშეკრულება. აღნიშულთან დაკავშირებით, მიმწოდებელს ეცნობა 2018 წლის 20 დეკემბრის № 774/12-2018 წერილით. ამავე წერილით მიმწოდებელს ეცნობა 8 640 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.14. საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, მიმწოდებელმა მხარეთა შორის გაფორმებული № 1307/01 ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა 30 417,10 ლარის ღირებულების ვალდებულებები, ხოლო № 1608/01 ხელშეკრულების ფარგლებში – 121 751,60 ლარის ღირებულების ვალდებულებები.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გიგანი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია მიუხედავად საქონლის ვადაგადაცილებით მიწოდებისა, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე იბარებდა მიწოდებულ პროდუქტს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის წერილების თანახმად, მიმწოდებელს არაერთხელ მიეცა გაფრთხილება ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებასთან დაკავშირებით და განემარტა, თუ რა სახის პრობლემებს ქმნიდა ნაკისრი ვალდებულებების

ვადგადაცილებით შესრულება. ამასთან, სააგენტო განმარტავს, რომ მიმწოდებელი თავად მიუთითებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

7.4. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციას დაკარგული ჰქონდა ინტერესი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართ, მას პირველივე ჯერზე უნდა შეეწყვიტა ხელშეკრულება. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ რამდენადაც შემსყიდველ ორგანიზაციას ნამდვილად გააჩნდა ინტერესი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმართ, მან არაერთხელ მიმართა მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების თხოვნით, თუმცა ამაოდ. შესაბამისად სწორედ აღნიშნული გახდა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის საფუძველი.

7.5. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.8. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ორი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, არსებული დარღვევების გათვალისწინებით, შპს „გიგანი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გიგანი“ (ს/ნ: 432543205) 2019 წლის 22 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე